

დღეს ნომერშია

არჩევნების თარიღის გამოსახლების გამო საბიუჯეტო ცვლილება ვეღარ განხორციელდა **2 გვ.**

ხარაგაულში საბავშვო ბაღების აღმგრელებსთვის ხუთდღიანი ტრენინგი ჩატარდა **2 გვ.**

საპრაგიანტო არჩევნებთან დაკავშირებით საბიუჯეტო მასალების გამოსაყენებელი ალბომი განისაზღვრა **2 გვ.**

ქიმი პროფილაქტიკოსი გვირჩევეს **3 გვ.**

გამგობა სკოლების ბარამონტაჟზე გეგმავს ღანიშნაძე **3 გვ.**



„თევზების რაოდენობა მდინარეებში კრიტიკულ ზღვრამდე შემცირდა“

ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ ინიციატივით კულტურისა და დასვენების პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, შინმოუსვლელოთა შემორიდან, გაიმართა მშვიდობიანი აქცია მდინარეებში აკრძალული მეთოდებით თევზჭერის წინააღმდეგ. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მამუკა ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტში განსახილველად მზადდება ახალი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს აკრძალვებისა და ჯარიმების გამკაცრებას ბრაკონიერობაზე. ჯარიმა გაიზარდა და იქნება 2 000-დან 4 000 ლარამდე. „საინიციატივისა და თევზაობის მოყვარულთა ინფორმაციით, ჩვენს მდინარეებში თევზის რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. თითქმის ყველა ხარაგაულელმა იცის, ვინ როდის და როგორ ჩადის ამ დანა-

შაულს, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ამაზე პროტესტის გრძობა. ჩვენი აქციის მიზანია და ამასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეთ, რომ გამკაცრდეს კონტროლი. მივმართავთ საკრებულოსა და გამგეობას, რომ სეზონთან დაკავშირებით გაამკაცროს კონტროლი სპეციალური ჯგუფებითა თუ პოლიციის დახმარებით, რათა მაქსიმალურად შევამცოროთ ბრაკონიერობა. ამ დანაშაულის დაფარვა მივითხოვთ კატასტროფულ შედეგებამდებრაკონიერობის ერთ-ერთი ფორმა, ელექტროშოკი, ხელს უშლის თევზის გამრავლებას. ის სილამაზე და ხიბლი, რაც აქვს ჩვენს მდინარეებს, არ უნდა დავეუკარგოთ,“ - აღნიშნა მამუკა ჭიპაშვილმა აქციაზე.

ქიროს უწოდებს და აღნიშნავს, რომ თითოეულმა მოქალაქემ უნდა აიმაღლოს ხმა ბუნების გადარჩენად. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ თანამშრომლის **შაქარ მარტოქაძის** თქმით, ამ აქციის მიზანია შევინარჩუნოთ მდინარეები არსებული თევზების უნიკალური სახეობები და მრავალფეროვნება. „ძალიან დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ ამ მიმართულებით, რადგან სხვადასხვა უკანონო ხერხების გამოყენებით თევზების რაოდენობა მდინარეებში კრიტიკულ ზღვრამდე შემცირდა. საჭიროა ჩავერიოთ ამ პრობლემის მოგვარებაში და ერთად ვიბრძოლოთ უკანონობის წინააღმდეგ,“ - დასძინა მან.

აქციის ყველა მონაწილემ ხელი მოაწერა მოთხოვნას ბრაკონიერობის აკრძალვის შესახებ.

თამთა გოგოლაძე

ანაზღაურების ზედა ზღვარი იზრდება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლების ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება გაიზარდა. „სკოლების ტექნიკური პერსონალის ანაზღაურება რიგ შემთხვევაში საარსებო მინიმუმზე 5-6-ჯერ ნაკლებია და 20-30 ლარსაც კი შეადგენს,“ - აღნიშნულია სამინისტროს მიერ მომზადებულ „სკოლის დირექციის, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების 2012-2013 წლების შედარებით ანალიზში.“

ლოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასების მატება სკოლაში მოსწავლეებთან რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **დავით კვიციანი** ინფორმაციით, დადგინდა ხელფასების ზედა ზღვარი, თუმცა ხელფასი არ უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე, ანუ 150 ლარზე ნაკლები. ხელფასის ზედა ზღვარს გასცემს თუ არა, ეს სკოლის ფინანსურ შესაძლებლობაზე იქნება დამოკიდებული. დავით კვიციანის ინფორმაციით, სექტემბრიდან, საგარეულოდ, შეიცვლება სკოლების დაფინანსების წესი.

სკოლაში, სადაც ირცელება 40 მოსწავლე, სკოლის დირექტორის ხელფასის ზედა ზღვარი 400 ლარი იქნება, ბუღალტერის - 220 ლარი, საქმის მწარმოებლის - 160 ლარი, დარაჯისა და დამლაგებლის - 150-150 ლარი;

სკოლაში, სადაც 41-დან 100 მოსწავლე სწავლობს, სკოლის დირექტორის ხელფასის ზედა ზღვარი 450 ლარით განისაზღვრება, ბუღალტერის - 255 ლარით, საქმის მწარმოებლის - 200 ლარით, ბიბლიოთეკარის - 170 ლარით, დარაჯისა და დამლაგებლის 160-160 ლარით;

სკოლაში, სადაც 101-დან 200 მოსწავლეა, სკოლის დირექტორის ხელფასის ზედა ზღვარია 550 ლარი, მთავარი - 330 ლარი, ბუღალტერის - 270 ლარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის - 220 ლარი, საქმის მწარმოებლის - 200 ლარი, საინფორმაციო მენეჯერის - 200 ლარი, ბიბლიოთეკარის - 190 ლარი, დარაჯის - 180 ლარი, დამლაგებლის - 175 ლარი.

სკოლაში, სადაც 201-დან 300 მოსწავლე ირცელება, სკოლის დირექტორის ხელფასის ზედა ზღვარია 600 ლარი, მთავარი - 380 ლარი, ბუღალტერის - 320 ლარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის - 250 ლარი, საქმის მწარმოებლის - 240 ლარი, საინფორმაციო მენეჯერის - 220 ლარი, ბიბლიოთეკარის - 200 ლარი, დარაჯის - 200 ლარი, დამლაგებლის - 190 ლარი.

წელს სოცდახმარება 880-მა მოქალაქემ მიიღო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიღებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის ექვს თვეში სოციალური დახმარება გაენიჭა 880 მოქალაქეს. სულ გაყვებულია 114981,88 ლარის სოციალური დახმარება. კატეგორიების მიხედვით გაიყვა:

- საოპერაციოდ 31 მოქალაქეზე - 24 537 ლარი;
- სამედიცინო გამოკვლევებისთვის - 13 მოქალაქეზე - 5 424 ლარი;
- მკურნალობისთვის - 20 მოქალაქეზე - 12 728 ლარი;
- მედიკამენტებისათვის - 220 მოქალაქეზე - 23374,99 ლარი;
- მშობიარობისთვის - 13 მოქალაქეზე - 6 685 ლარი;
- ვეტერანების დაკრძალვისთვის - 5 მოქალაქეზე - 1 250 ლარი;
- ერთჯერადი სოცდახმარება - 58 მოქალაქეზე - 12 250 ლარი;
- ქიმიოთერაპიისთვის - 5 მოქალაქეზე - 1 745 ლარი;
- 9 აპრილს დაზარალებულ 2 მოქალაქეზე - 600 ლარი;
- მრავალშვილიან (შვიდი შვილი) 1 მოქალაქეს გადაეცა სარეცხი მანქანა 599 ლარი ღირებულების;
- სასმენი აპარატისთვის - 1 მოქალაქეს - 699,50 ლარი;

სოციალურად დაუცველი 1 მოქალაქის გადასაცემად სპეცდანიშნულების დანესხებულებაში - 250 ლარი;

სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან და ეკონომიურად გაჭირვებულ 161 ქალბატონს - 4 989,39 ლარის კვების პროდუქტები;

სააღდგომოდ 285 ოჯახზე (დევნილები, უსინათლოები, ჩერნობილის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულები, უკიდურესად გაჭირვებული) - გაიყვა 10 250 ლარი;

თამიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ომის 33 მონაწილეზე გაიყვა 4 950 ლარი (თითოეულზე 150 ლარი);

ბავშვთა უფლებების დღესთან დაკავშირებით მებრუნებული სტატუსის მქონე 31 ბავშვზე გაიყვა 4 650 ლარი (თითოეულზე 150 ლარი).

9 ივლისს რედაქციაში საღამო-დილემი მსხვირები ქალბატონი **ლალი ჭყოიძე** გვესტუმრა. მან ჩვენთან საუბარში გულისტკივლით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ გასული წლიდან ითხოვს მედიკამენტების შესაძენი თანხით დახმარებას. მისივე თქმით, მან

როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს გამგეობაში ყველა საჭირო ღირებულება წარადგინა. „ძალიან მინდოდა გამგებელთან შეხვედრა. დიალიზით ვარ ავად და კვირაში ორჯერ გადასხმას ვიკეთებ. აქ მეორედ ვედარ ჩამოვალ. ელემენტარული ყურადღება გამოეჩინა ჩემს მიმართ და შეხვედრობა გამგებელს, რა მოხდებოდა. მერე ისიც შევიტყვე, რომ მედიკამენტების შესაძენად თანხები აღარ გაიცემა, ან თუ გაიყვა, უკიდურესად მძიმე ავადმყოფებზე. მეც მძიმე ავადმყოფი ვარ,“ - გვითხრა ქალბატონმა ლალიმ.

რადგომარეობაა სოცდახმარების გაცემის კუთხით და რატომ ვერ შეძლო გამგებელმა მოქალაქის მიღება, - ამ შეკითხვებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის **კობა ლურსმანაშვილს** მივმართეთ. გამგებლის ინფორმაციით, სოცდახმარებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხის, 200 ათასი ლარის, გახარჯვა უკვე ზღვარზეა მისული. „ბიუჯეტში შემოვიდა ჭარბი თანხა, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ ვანაწილებთ იმის გამო, რომ არჩევნების გამოცხადებასთან

დაკავშირებით საბიუჯეტო ცვლილების განხორციელება აკრძალულია. ველოდებით პარლამენტის გადაწყვეტილებას ამ მიმართულებით, რომ ცვლილებები სამართლებრივად განხორციელდეს. ჩვენ საკრებულოს ნარკვედვინეთ პროექტი, რომ დიალიზით დაავადებულებს თვეში 500 ლარით დავეხმაროთ, თუმცა ეს ცვლილება არჩევნების დანიშვნის გამო ვერ ხორციელდება,“ - აღნიშნა ჩვენთან სატელეფონო საუბარში კობა ლურსმანაშვილმა.

რაც შეეხება მოქალაქის მიღებაზე უარის თქმას, გამგებლის თქმით, ის ძალიან დაკავებული იყო და აუცილებლად უნდა გადაეწყვიტა მნიშვნელოვანი საკითხები. „ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს იმ მოადგილესთან ვგვზავნი, რომელიც პიროვნებისთვის პრობლემურ საკითხში კომპეტენტურია და კონკრეტულ სფეროს კურირებს, მაგრამ რატომღაც დაუინფორმებოთ ითხოვენ ხოლმე გამგებელთან შეხვედრას. მე სხვა რეჟიმში მაქვს და შემძლია მოქალაქეები სამუშაო საათების დამთავრების შემდეგაც მივიღო,“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში გამგებელმა.

„ახალი სასწავლო პროგრამა ორიენტირებულია ბავშვზე“

ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორი ქეთევან ზემბაძე) თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდა ხუთდღიანი ტრენინგი თემაზე „სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდის სტანდარტები და პროგრამა“. ტრენინგს სკოლამდელი დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, ტრენინგებისა და სემინარების ცენტრის დირექტორი თეონა ქემაშვილი ხელმძღვანელობდა. „საბავშვო ბავშვები ინერგება ახალი სასწავლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 0-6 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარებას. მასში განვიხილავთ აქტივობებს, თავისუფალი მოქმედებები. ახალმა პროგრამამ მთლიანად ჩაანაცვლა ძველი საგნობრივი სისტემა. საგნობრივი სისტემა თემატური სწავლებით შეიცვალა. თითოეული თემა განვიხილავთ 5 დღეზე და მის სწავლებას ახორციელებს აღზრდელი. სწავლის პროცესში მაქსიმალურად ჩართული მოსწავლე და მშობელი, რომელიც შემაჯამებელ ღონისძიებაზე ხედავს, რას სწავლობს და როგორ იზრდება მისი შვილი საბავშვო ბაღში. სახელმწიფოსგან მოდის დაკვეთა უფრო დახვეწილ, კრეატიულ და

ნოვატორ მასწავლებლებზე. ბალი არის თავისუფალი გარემო, სადაც თანამშრომლები უნდა მიმდინარეობდეს სწავლება და არავითარ შემთხვევაში დასჯის მეთოდებით.“ აღნიშნა ჩვენთან საუბარში ტრენინგმა თეონა ქემაშვილმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მეთოდისტი თამარ ავალიშვილი მიიჩნევს, რომ ტრენინგი იყო ძალიან საინტერესო და საჭირო. „ახალი მოდერნიზებული სასწავლო პროგრამა ორიენტირებულია ბავშვზე. კარგადაა გააზრებული და მოტივირებული სწავლების სტანდარტები. სიახლე იყო ის, რომ პირველად მოვიხილეთ აღზრდის პროგრამა ინკლუზიური ბავშვებისათვის და მივიღეთ რჩევები ტრენინგ მარინა მოსტაქისგან. მეთოდისტი ტრენინგმა ნანა ზურაბიანი გავაცანო საკითხები ასაკობრივი ფსიქოლოგიის კურსიდან. ლეილა შუმბაძე კი გვესაუბრა მართვის საკითხებზე. სპეციალისტების რჩევებს აუცილებლად გავითვალისწინებთ და დავინერგავთ ახალი სასწავლო წლიდან.“

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფსიქოლოგი ანა გაჩეჩილაძე, რომელიც დაინტერესებულია მსგავ-



ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომლებისთვის გამართულ ტრენინგზე

სი სახის ტრენინგებით, კმაყოფილია საბავშვო ბავშვების სწავლების ახალი მეთოდის დანერგვით და ამბობს, რომ ასეთი ტრენინგები ხშირად უნდა

ტარდებოდეს. ტრენინგის მონაწილე ნანა ზურაბიანი მიიჩნევს, რომ ტრენინგები მნიშვნელოვანია საბავშვო ბავშვების სწავლების ახალი მეთოდის

წარმატებით განსახორციელებლად. ტრენინგის ყველა მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცა.

თამარ გოგოლაძე

არჩევნების თარიღის გამოსხადების გამო საბიუჯეტო ცვლილება ვიღარ განხორციელდა

8 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა გაიმართა. კომისიის წევრებს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ წარდგენილი საბიუჯეტო ცვლილებები კომისიის თავმჯდომარე მაჩუკი გორგაძემ გააცნო.

მოხსენებითი ბარათის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოქმედ ა(ა)იპ-ებს ესაჭიროებათ 127,2 ათასი ლარი. მათ შორის:

„კულტურის ცენტრს“ - 12,5 ათასი ლარი, საიდანაც 10 ათასი ლარი ქორეოგრაფიული ანსამბლის თურქეთში ფესტივალზე გამგზავრებისთვისაა საჭირო, დანარჩენი თანხა - დამატებული შტატის სახელფასო ანაზღაურებისთვის;

„ხარაგაულ დასუფთავება“ საჭიროებს 87 ათას ლარს. აქედან 80 ათასი ლარი განკუთვნილია მანქანის შესაძენად, 3 ათასი ლარი მანქანა-ლა ძალების დახოცვისთვის და 4 ათასი ლარი დამატებული შტატების სახელფასო ანაზღაურებისთვის;

„სათონების სახლი“ საჭიროებს 1,1 ათას ლარს დამატებული შტატის სახელფასო ანაზღაურებისთვის;

„მოსწავლეთა სახლი“ ითხოვს 4,5 ათას ლარს. აქედან რემონტის თანხაა 3 500 ლარი, დანარჩენი თანხა დამატებული შტატის სახელფასო ანაზღაურებისთვის;

„ხარაგაულ კეთილმოწყობა“ ითხოვს 6,0 ათას ლარს, რადგან ამ სამსახურში შეიქმნა ბრიგადა საკანალიზაციო ქსელის ლოკალური პრობლემების აღმოსაფხვრელად;

„ხალხური შემოქმედების სახლი“ ბუღალტრის ფესტივალზე გასამგზავრებლად დამატებით ათასი ლარი სჭირდება;

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრს“ 6 ათასი ლარი სჭირდება სახელფასო ანაზღაურებისთვის;

„ცენტრალურ ბიბლიოთეკას“ ესაჭიროება 3 200 ლარი. 1 500 ლარი - წყლის შესყვანად, ხოლო დანარჩენი თანხა დამატებული შტატების სახელფასო ანაზღაურებისთვის;

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ 4,4 ათასი ლარი ესაჭიროება. აქედან ახალი შტატების სახელფასო ანაზღაურებისთვის - 2 600 ლარი და 1 800 ლარი - აღმომრტო სამუშაო-

ებისთვის.

განმარტებითი ბარათის თანახმად, 57,1 ათასი ლარი საჭიროა შტატგარეშე მომუშავეთა ხარჯების ასანაზღაურებლად. აქედან მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2,5 ათასი ლარი ესაჭიროება, ხოლო გამგეობას 24,6 ათასი ლარი, სახანძრო-სამაშველო სამსახურს - 23,9 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და განვითარების სამსახურს - 6,1 ათასი ლარი.

ბაჩუკი გორგაძის ინფორმაციით, ზემოთაღნიშნული ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გაზრდიდან გამომდინარე. კერძოდ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის გვემა გაიზარდა 74,8 ათასი ლარით, სხვა შემოსავლების გვემა კი - 109,5 ათასი ლარით, მათ შორის: პროცენტები - 13,5 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში გადაცემიდან 11,4 ათასი ლარი, სანქციები, ჯარიმები და საურავები - 84,6 ათასი ლარი.

„მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა გამოაცხადა არჩევნების თარიღი,

ბიუჯეტში ცვლილება აკრძალულია. ხვალ, საკრებულოს სხდომაზე, ამ საკითხს ვერ გავიტანთ.“ - აღნიშნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა.

ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელთა შეკითხვაზე, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტში ცვლილება ვერ განხორციელდა, ვლადიმერ გელაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე, მისი ინფორმაციით, პარლამენტიც მუშაობს. მისივე თქმით, ეს მართო ჩვენი მუნიციპალიტეტის პრობლემა არ არის და რაღაც გადანაცვლებებს ცენტრალური ხელისუფლება, ალბათ, მიიღებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელების განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ ხელმძღვანელმა მაჩუკა ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ მათ 70 ათასი ლარი სჭირდება რა თხის ბოლომდე გამართული ფუნქციონირებისთვის. „საკრებულომ ეს თანხა გაანახევრა, - ექვსზე მეტი შტატი არ გვრდებათო.

ხელფასებთან ერთად ავტომატურად განახევრდა პროგრამების დაფინანსებაც და მართო სახელფასო თანხა დაგვრჩა 35 ათასი ლარი. ექვსი წამყვანი სპეციალისტი გვეყვება: წამყვანი სპეციალისტი მუნიციპალიტეტის განვითარების კუთხით, წამყვანი სპეციალისტი ტურიზმის ხელშეწყობის კუთხით, ორი წამყვანი სპეციალისტი ბანაკებისა და დაქმნების ორგანიზების კუთხით, ორი წამყვანი სპეციალისტი ინფორმაციებისა და კვლევის მოპოვების კუთხით. საქმის გაკეთება გვირდა, ჩამოყალიბებული გვაქვს გვემა და თუ პროგრამა არ განახორციელებთ, მაშინ აზრი არ აქვს ათი კაცის წინ და უკან სიარულს.“ - აღნიშნა მაჩუკა ჭიპაშვილმა კომისიის სხდომაზე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები და ბუღალტრები ესწრებოდნენ. კომისიის თავმჯდომარე მაჩუკი გორგაძემ მათგან მოითხოვა თანამშრომლების სახელფასო სია ხელფასების, თანამდებობისა და ფუნქციების მითითებით.

ნინო კაპანაძე

სააბიტაციო მასალების გამოსაფენი აღბილები განისაზღვრა

9 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით საავტოციო მასალების გამოსაფენად ადგილის გამოყოფის შესახებ განკარგულება.

განკარგულების თანახმად, აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს საავტოციო მასალის ჩამოსხმა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, საავტოციო მასალები განთავსდება:

1. **დამა ხარაგაულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 1.1 პატარა ხარაგაულის ბიბლიოთეკის შენობა;
 - 1.2 საავადმყოფოსთან მაღაზიის შენობა;
 - 1.3 სოლომონ მეფის ქუჩა N7-ში მდებარე მაღაზია;
 - 1.4 დამა ხარაგაულის კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორია;
2. **მაზალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 2.1 ღარიხევის კლუბი;
3. **ლაშის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 3.1 ამბულატორიის შენობა;
4. **ფარცხნალის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 4.1 ფარცხნალის დაუმთავრებელი მაღაზიის შენობა;
 - 4.2 ისლარის ნისქვილის შენობა;
5. **კიციხის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 5.1 საკოლმეურნეო ბაზართან მდებარე რაიკავშირის ყოფილი სასადილოს შენობა;
 - 5.2 საქართველოს მოსაცდელი;
 - 5.3 თეთრანწყაროში ყოფილი კლუბის შენობა;
6. **წყალაფორეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 6.1 მგზავრთა მოსაცდელი;
 - 6.2 მგზავრთა მოსაცდელი;
 - 6.3 ვაზის მგზავრთა მოსაცდელი;
 - 6.4 ჯაფარეულში წისქვილის შენობა;
 - 6.5 ჩხერის ყოფილი მაღაზიის შენობა;
7. **ვანძის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 7.1 ამბულატორიის შენობა;
8. **ხიდანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 8.1 ყოფილი რაიკავშირის მაღაზია;
 - 8.2 ვანძის მგზავრთა მოსაცდელი;
 - 8.3 ჯაფარეულში წისქვილის შენობა;
 - 8.4 ჩხერის ყოფილი მაღაზიის შენობა;
9. **სალანძის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 9.1 მგზავრთა მოსაცდელი;
 - 9.2 სხლითის მაღაზია;
 - 9.3 ვანძის მგზავრთა მოსაცდელი;
 - 9.4 ჯაფარეულში წისქვილის შენობა;
 - 9.5 ჩხერის ყოფილი მაღაზიის შენობა;
10. **ლეღვანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 10.1 დიდვაკის მაღაზიის შენობა;
 - 10.2 მარეისის მაღაზიის შენობა;
 - 10.3 ლეღვანის მგზავრთა მოსაცდელი;
11. **ვახანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 11.1 პატარა ლომისაძის საკუთრებაში არსებული მაღაზიის შენობა;
12. **მოლითის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 12.1 მოლითის მგზავრთა მოსაცდელი;

- 12.2 დეისში სარიტუალო შენობა;
- 12.3 ექვში სარიტუალო შენობა;
13. **გვარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 13.1 მგზავრთა მოსაცდელი;
 - 13.2 პურის საცხობის შენობა;
14. **წიფის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 14.1 რკინიგზის სადგური;
 - 14.2 თონაში ყოფილი პურის საცხობის შენობა;
15. **ლონების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 15.1 რაიკავშირის ყოფილი მაღაზია;
16. **სარგვეშის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 16.1 სარგვეშის ყოფილი მაღაზიის შენობა;
 - 16.2 საბუღალტრო მოსაცდელი;
17. **ბორითის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 17.1 ბორითის სარიტუალო დარბაზის შენობა;
 - 17.2 უბისაში მაღაზიის შენობა;
 - 17.3 მაქათუბანში მურადი ზემბაძის საკუთრებაში არსებული მაღაზიის შენობა;
 - 17.4 საქსარიში ალექსანდრე წიქარიშვილის საკუთრებაში არსებული

18. **ხუნვის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 18.1 ხუნვეში მგზავრთა მოსაცდელი;
 - 18.2 ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე საყრდენი კედელი;
 - 18.3 გელსამანიში მაღაზიის შენობა;
19. **ხევის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 19.1 ადმინისტრაციულ შენობასთან მაღაზიის შენობა;
20. **ნადაშის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული**
 - 20.1 ადმინისტრაციულ შენობასთან მდებარე მაღაზიის შენობა.

საკრებულოს სხდომაზე გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა დავით დევდარიანმა აღნიშნა, რომ რამდენიმე ობიექტი ვერძო საკუთრებაშია. ამიტომ მათმა სამსახურმა ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების საშუალებით ითხოვა თანხმობა მფლობელებისგან. „რაიმე სახის პრევენცია აღნიშნულთან დაკავშირებით შენობების მეპატრონეთა მხრიდან არ მიგვიღია.“ - აღნიშნა საკრებულოს სხდომაზე დავით დევდარიანმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ცამეტი სკოლა გარემონტდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული ინფორმაციით: **სადანიძის** საჯარო სკოლაში გაკეთდება კარ-ფანჯარა, საყრდენი, რაფა; **მოლოის** საჯარო სკოლაში შეიკეთდება სახურავის ნაწილი, კარ-ფანჯარა, საყრდენი და რაფა; **ვახანის** საჯარო სკოლაში შეიკეთდება სახურავის ნაწილი, კარები, საინჟინერო; **ხუნეის** საჯარო სკოლის გედ-სამანის კორპუსში გარემონტდება სანიტარული კვანძები; **ხიდარის** საჯარო სკოლაში შეიკეთდება სახურავის ნაწილი; **ხევის** საჯარო სკოლაში გარემონტდება საკლასო ოთახები; **#3 საჯარო სკოლაში** შეიკეთდება კარ-ფანჯარა, საყრდენი, რაფა, სანიტარული კვანძებისა და ღერეთვის ელექტრობა; **ვერცხვილის** საჯარო სკოლაში შეიკეთდება სახურავი, კიბის უკრები და გარემონტდება საკლასო ოთახები; **ვაშლიყვის** საჯარო სკოლაში მოწესრიგდება სანიტარული კვანძები; **ვანდის** საჯარო სკოლაში შეიკეთდება კარ-ფანჯარა, დაიგება სპორტული იატაკი, მოწესრიგდება სანიტარული კვანძები; **ზონის** საჯარო სკოლაში შეიკეთდება კარ-ფანჯარა, საყრდენი, რაფა; **ზაბალოის** საჯარო სკოლაში მთლიანად შეიკეთდება შენობის სახურავი; **წიფის** საჯარო სკოლაში შეიკეთდება კარ-ფანჯარა, საყრდენი, რაფა.

ელექტრონული ტენდერი უკვე გამოცხადებულია ბორის, ხიდარის, ზაბალოისა და ვახანის სკოლების

სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. განათლების სამინისტრომ უარი თქვა ზვარის, კიცხისა და ლეღვანის საჯარო სკოლებში სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე. „მოგესხნებათ ზვარის სკოლა ჩქაროსნული რკინიგზის მშენებლობის არეალში ხვდება, კიცხის სკოლის ერთი ფლიგელი ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო ლეღვანის სკოლა ვერ ისაკუთრებს ოპტიმიზირებული სკოლების შენობებს. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გამგებელმა და რესურსცენტრმა წერილობით მიემართეთ განათლების სამინისტროს, - აღნიშნავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით კვიციანი**, - სამინისტროს პოზიცია ცალსახაა, რომ ზვარე არ დარჩება სკოლის გარეშე. სანამ სკოლის შენობა დაინგრება, ახალი მანამდე უნდა აშენდეს. სამინისტროში პირადად ავიხსენი, რომ კიცხის სკოლა მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდია, მაგრამ მაჩვენებს დასკვნა, რომ სკოლა ავარიულია და მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში თანხის დახარჯვა გამორიცხებულია.“

„კიცხის საჯარო სკოლაში 140 წელი უსრულდება. შენობა არ არის ისე ავარიული, რომ სასწავლო პროცესს რაიმე საფრთხე შეექმნას. დაზიანებულია კიბის უკრები,“ - ამბობს კიცხის საჯარო სკოლის დირექტორი **თამარ წიწლაშვილი**.

დავით კვიციანი კიცხის სკოლის დირექტორს დახმარება აღუთქვა და დაპირდა, რომ ამ საკითხს ყურადღებას არც მომავალში მოაკლავს.

დავით კვიციანი დირექტორებს შეახსენა, რომ ძველი მასალები ჩამოწმონ კომისიურად და შეინახონ ადგილზე.

მანძილი ქვეყნებსა და გულებს შორის აღარ არსებობს

ჩვენი მეგობარი ლინ ბექს, თქვენ ახლა ალბათ თვითმფრინავში ზიხართ და მონატრებული ოჯახისა და ახლობლებისკენ მიფრინავთ. თან მივაქვთ სხვათა სითბო, თანაგრძობა და ტკივილი, რომელზე ფიქრითაც, წლებია, არსებობთ. მომავალ მისამდე იღვწით და იბრძვით, რომ მომლოდინე თვალეზი ახალგაზრდებისა, რომლებიც იმედით შემოგვყავით, კვლავ გაახაროთ, გაჭირვება შეუმცროთ, გაახალისოთ, ტკივილი დაუპაოთ. როდესაც თქვენ პირველი მოხვედით ბორის სკოლა-პანსიონში, მოიტანეთ დიდი მეგობრობის სურვილი, დიდი სითბო და სიყვარული. ავგო უკვე რამდენიმე წელია გრძელდება თქვენი მეგობრობის მისია ამერიკის ჯორჯიის შტატიდან ჩვენს ჯორჯიაში. თქვენგან დაუღალავი შრომის შედეგია, ამერიკელ ქველმოქმედთაგან შეგროვებული საჩუქრები რომ მოვაქვთ ჩვენს ბავშვებთან. ისინიც ჩვეული გულწრფელობით იღებენ ამას და ეს უკვე იმდენად ბუნებრივი სიახლოვეა, რომ მანძილი

ქვეყნებს, ენასა და გულებს შორის აღარ არსებობს. ჩემო ლინ, მინდა მადლობა გადაგიხადო ყველაფრისთვის. თქვენ და თქვენი მისიონერები კარგად იცნობთ ჩვენს ქვეყანას და არ გავიწყდებათ დაინახოთ და შეაფასოთ უმნიშვნელო დეტალები კი. თქვენ კარგად ხედავთ ქართული ხალხის კულტურას და აფიქლებთ თქვენს მეგობრობას ერთად. ქართველებს გვახსოვს უცხოელთა მეგობრობა საუკუნეების მანძილზე: იტალიელთა, ინგლისელთა, გერმანელთა და მრავალ სხვათა. დღეს თქვენ გაიკვლიეთ გზა ქართველი ხალხის, ქართველ ბავშვთა გულებისაკენ, რასაც უდაოდ აფასებს საზოგადოება, ვისაც ამ მდგომარეობის შესახებ სმენია. კიდევ ერთხელ გიხილეთ მადლობას მეგობრების სახელით **დონარი შერიძე** ბორის საჯარო სკოლა



გულოცავ დაბადების დღეს, 10 ივლისს, 26 წლის შესრულებას ჩემს შვილიშვილს **გია იურის ძე ცხრაკვილიშვილს**. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თავის ცოლშვილთან ერთად. უფალი იყოს მისი მფარველი.

შეზო მარიამ ოსეფაშვილი-ცხრაკვილიშვილი



გულოცავ დაბადების დღეს, 11 ივლისს, 55 წლის იუბილს, ჩემს შვილს **იური შარაღის ძე ცხრაკვილიშვილს**. უფალი ფარავდეს თავის დიდ და ბედნიერ ოჯახთან ერთად.

დედა მარიამ ოსეფაშვილი-ცხრაკვილიშვილი

გაფხული და ჯანსაღი ცხოვრების წესი

წყალი სიცოცხლის წყარო და საშენი მასალაა, რომელსაც ყველა ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს და იყენებს. წყლის თემა გაფხულში მუდამ აქტუალურია. ნორმალური ტემპერატურის და ზომიერი ფიზიკური აქტივობის შემთხვევაში ადამიანმა უნდა მიიღოს დღეში არანაკლებ 1 ლიტრი წყალი. მაგრამ მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში ეს რაოდენობა იზრდება და საშუალოდ 2,5 ლიტრს შეადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით საჭიროა წყლის რაოდენობის გამოთვლა სხეულის მასის გათვალისწინებით. კერძოდ „ჯანმოს“ დასკვნით მოზრდილი ადამიანს დღეში უნდა ესაჭიროება 30 მლ სითხე სხეულის მასის ყოველ ერთ კილოგრამზე გადაანგარიშებით, ხოლო თუ ექიმის გიზრდავთ დიდი რაოდენობით სითხის მიღებას, ჰქონებთ რა მაქსიმალური სითხის მიღება შეგიძლიათ ზაფხულის ცხელ დღეებში. ცხელ ამინდში ვარჯიშისას უნდა მიღებდეთ 1-2 ჭიქა წყალი. ეს დაგეხმარებათ სიცხის ატანაში, უშუალოდ მზეზე ყოფნისას სითხის დაღვრა არარეკომენდირებულია, ეს ხელს უწყობს ორგანიზმის გაუწყლოვნებას, ასევე არ არის სასურველი ერთჯერადად დიდი რაოდენობით წყლის მიღება. შემზღვეთ ალკოჰოლი და მედმეტაქტებილი სასმელის მიღება, ასევე მედმეტაქტები წყალი, რადგან, შესაძლოა, განვითარდეს კუჭის სპაზმი.

ზაფხულის ცხელი პერიოდის დაღვრისთანავე მნიშვნელოვანად მატულობს დიარეით მიმდინარე დაავადებათა (საკვებისმიერი ინტოქსიკაციები) მაღალი მაჩვენებელი, როგორც ერთეული შემთხვევების, ისე ეპიდემიების სახით (ჭკუფური შემთხვევები), რაც უმეტესად უკავშირდება დაბინძურებული სასმელი წყლის მოხმარებას და მასიურ სურვილებს არასწორად მომზადებული ან შენახული საკვების მიღებას.

ამ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია შემდეგი პრევენციული ღონისძიებების გატარება: წყალსადენში წყლის წყვეტილი მიწოდებისას წყალმა სასურველია იდინოს არანაკლებ 10 წთ. და შემდეგ გამოიყენეთ სასმელად ან საკვების მოსამზადებლად;

არ გამოიყენოთ სასმელად წყალი ადგილებზე, თუ მის უცვებლობაში დარწმუნებული არ ხართ; ადგილები წყალი ვარჯისა 24 სთ-ის განმავლობაში; სასურველია წყლის გამწმენდი სხვადასხვა ტიპის საოჯახო ფილტრების გამოყენება;

შეგროვოთ სასმელი წყალი შეინახეთ სუფთა, დახურულ რემერგურაში და არ გამოიყენოთ წყლის შესანახი ჭურჭელი სხვა დანიშნულებით (რძის ან სხვა სითხის შესანახად); ღია წყალსატევებში ბანაობისას არ ჩაყლაპოთ წყალი.

ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია სწორ ბალანსირებულ კვებაზე ზაფხულის ცხელ დღეებში. მოერიდეთ:

მაღლფრეზად პროდუქტებს, კრემიან ნამცხვრებს; მათონიანი სალათების მიღების შემთხვევაში მათონი მოახსიეთ უშუ-

ალოდ მიღების წინ; უპირატესობა მიანიჭეთ ხილს, ბოსტნეულს; მოხმარების წინ ცხოველური წარმოშობის საკვები, განსაკუთრებით ფრინველის, ღორისა და საქონლის ხორცი, თევზი, კვერცხი ძალიან კარგად უნდა შეინახოს ან მოიხარშოს; საკვებად არ მიიღოთ ჭუჭყიანი და გაბზარული კვერცხები; არ მიიღოთ აუღუღარი რძე ან რძის პროდუქტები; დაუშვებელია დიარეის (ფადარათის) მქონე პირების მონაწილეობა საკვების მომზადებაში, ავადმყოფების და ბავშვების მოვლაში.

დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე მიმართეთ ექიმს. დაუშვებელია თვითმკურნალობა. ექიმის მოსვლამდე თავი შეიკავეთ კვებისა და ანტიბაქტერიული ნაწილების მიღებისაგან. ავადმყოფს დააღვინეთ ორალური სარეჰიდრატაციო საშუალებები (რემიდონი ან მისი ანალოგები) ან ანალოგიური წყალი, ან სუსტი ჩაი, რადგან ღებინების და ფადარათის დროს ორგანიზმი ბევრ სითხეს კარგავს.

ზაფხულის ცხელ ამინდში, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე შიშობა ვერ უზრუნველყოს სხეულის შესაბამისი ვაგროლება და განვითარდეს სითბური დაავადებები, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. განსაკუთრებით რისკის ქვეშ იმყოფებიან: ახალშობილები, ბავშვები და მოხუცები; ადამიანები გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით, ენდოკრინული და ნევროლოგიური დარღვევებით;

ჭარბი წონის მქონე; ფიზიკური პირები, რომლებსაც მუშაობა უნევთ არავენტლირებულ გარემოში; ალკოჰოლის ჭარბად მოხმარებლები.

სითბური დაავადებების თავიდან აცილება შესაძლებელია.

ცხელი იყოთ სივარდილი კარგად კონდიციონირებულ გარემოში, რაც პირველ დამცავ ფაქტორს წარმოადგენს. შეზღუდეთ ალკოჰოლი და მედმეტაქტებილი სასმელები. არ დატოვოთ ბავშვები და მოხუცები მანქანაში უმეფავსურად.

სითბურ დაავადებებთან ერთად ხშირია მზით დამწვრობის შემთხვევებიც, განსაკუთრებით ახალგაზრდა ცოცხლებში. ხშირი ვარჯიშის ინტენსივობის ნარეგულად დაკვირვება, კომპლექსური მოხმარება და კბობის განვითარების რისკის მომატება. გამოიყენეთ მისიგან დამცავი კრემები, რომლის არჩევნისას გაითვალისწინეთ, რომ იყოს ცნობილი ფორმის, ხარისხიანი და დაცვის ფაქტორი SPF /SUN PROTECTION FACTOR/ იყოს 30 და მეტი.

მზით დამწვრობის რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნებიან: ადამიანი, რომლებსაც აქვთ ღია შეფერილობის კანი და თმა, ლურჯი თვალები; 6 წელზე ნაკლები და 60 წელზე მეტი ასაკის ადამიანები.

შეზღუდეთ მზეზე ყოფნის ხანგრძლივობა განსაკუთრებით პიკის საათებში (შუადღის 2 საათი ადრე და 2 საათი გვიან). მზით დამწვრობის მიღება შესაძლებელია ღრუბლიან ამინდშიც.

თბილის მლუაშვილი ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ექიმი პროფილაქტიკოსი

ვეტერანთა რაიონული კავშირი გულწრფელად უბოლოვებს დაბადებულ 90 წლის იუბილს სამამულო, მსოფლიო ომის აქტიურ მონაწილეს **შაქრო მალაფერიძეს**. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს თავის შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად.

გულოცავთ ლელა ზარმაქაძეს და დევიკო ჭიკაძეშვილს შვილის ბედნიერებას. ვუსურვებთ ახალდაბადებულ ბავშვს **სოფოსა და ჯანოს** უღვე სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს და ღვთის წყალობას.

ზაბალოის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების და ტექნიკოსების გულწრფელად დედას, **რუსუდან მდინარაძეს** და უნიჭიერეს ბიძაშვილს **ნანა მდინარაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ მათ უდიდეს ბედნიერებას, სიხარულს და ღვთის წყალობას. ბუნების ძალამ და უფალმა დაგლოცათ.

მარიამ და ვახო მაქაძეები გულოცავთ დაბადების დღეს **რომიონ გრიგალაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ სიმშვილეს და ღვთის უღვე წყალობას.

მეულე ნათია გურგენიძე, შვილები მარიამ და ვიორჯი გრიგალაშვილები გულოცავთ დაბადების დღეს **ნანა ზეზუნაშვილს** და **გიორგი ჭიკაძეშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს - 16 ივლისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, კარ ბედ-იბალებს და უღვე სიხარულს. მრავალი ათეული წელი ავეურცლოთ თავიანთი ცხოვრების კულტურაზე. ორთავე ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს.

ხარაგაულის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს ზაზა შერაძეს და ვიორჯი ჭიკაძეშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს - 16 ივლისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, კარ ბედ-იბალებს და უღვე სიხარულს. მრავალი ათეული წელი ავეურცლოთ თავიანთი ცხოვრების კულტურაზე. ორთავე ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს.

ხარაგაულის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლები გულოცავთ დაბადების დღეს **მამა პეტრეს (ვერტანიძე)** სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების დღეს - 16 ივლისს. ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, ჯანით სიმრთელე და სულით სიმხნევე მიმადლოს ერისა და მამულის საკეთილდღეოდ.

გესტაქონის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის წმინდა სამების ეკლესიის მრევლი

გამგობა სკოლების გარემონტებაზე ზედამხედველს დანიშნავს

5 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებს მუნიციპალიტეტის გამგებელი **კობა ლურსმანაშვილი** შეხვდა. „მსურდა შეგვედროდით და გავსაუბროდით იმ პრობლემებზე, რაც თქვენს წინაშეა. განათლების სამინისტროსთან თითქმის ყოველდღიური კონტაქტი გვაქვს, წარდგენილია ჩვენი მოსაზრებები სკოლებში მიმდინარე სამუშაოებზე, - მიმართა სკოლების დირექტორებს გამგებელმა, - ინფრასტრუქტურის სააგენტომ მოგვმართა, რომ თვითმმართველობამ და, კონკრეტულად გამგებობამ, შეარჩიოს ზედამხედველები სკოლების სარემონტო სამუშაოებზე. ისეთ პიროვნებებს შევარჩევთ, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პასუხისმგებლობით და არაერთგვაროვნებით უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს არ ჩაიბარებენ. ჩვენს მიერ დანიშნული ზედამხედველები დაიცავენ სკოლის ინტერესებს. წარდგენამდე აუგუსტით თითოეულ მათგანს, რომ სკოლის დირექტორთან მჭიდროდ ითანამშრომლოს.“

კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლების ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში აქტიურადაა ჩართული.

„ცნობილია, რომ წინა ხელისუფლების მხრიდან ტოტალური პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდებოდა სკოლებზე. ეს ასე აღარ არის და აღარც იქნება. ახალი ხელისუფლება ნათლად მიუთითებს, რომ სკოლაში პოლიტიკა არ უნდა კეთდებოდეს, თუმცა სკოლის დირექტორებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ დაინახონ ის პოზიტივები, რაც არის და რაც მომავალშიც იქნება. ეს არის ჩვენს

მუნიციპალიტეტში მიმდინარე მასშტაბური პროექტები, რომელიც ძალიან მაღე ჩვენს კულტურულ და სპორტულ ცხოვრებას გააჯანსაღებს და გამოაცოცხლებს. თუკი რაიმე გვაქვს საამაყო, სწორედ ამ კუთხით. თქვენი ძალიან დიდი წვლილია წარმატებული ახალგაზრდების აღზრდაში. მინდა განეული შრომის გამო მადლობა გადაგიხადოთ. მინდა გითხრა, რომ ერთ-ერთ პირველთაგანი ვიქნები რესურსცენტრის ხელმძღვანელთან ერთად, რომ დავიცვა თქვენი უფლებები, რომ ვინმემ თქვენზე ზეწოლა არ მოახდინოს. თქვენი სფერო ხელისუფლების ერთ-ერთი დამოუკიდებელი შტოა, რომელშიც ჩვენ არ ვერვით, თუმცა იმ ავკარგინაობის შესახებ, რაც ხდება სკოლებში, ინფორმაცია სრულად გვაქვს. ხელი მიგვიწვდება იმაზე, რომ სამინისტროს არსებული ვითარების შესახებ ჩვენი პოზიცია და შესვლულები წარუდგინოთ, რა თქმა უნდა რესურსცენტრის ხელმძღვანელობასთან ერთად. ამიტომ გთხოვთ, თუ სადმე რამე ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს, ამის შესახებ ღიად ვისაუბროთ და ამის აღმოფხვრისკენ მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა.“

მოგესხნებათ, რომ სკოლებთან მიმართებაში სამართლებრივი ფორმით ცოტა გვიჭირს დახმარების მხრივ ჩარევა, მაგრამ თუ სამინისტროს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, თუ ნებას დავგრთავთ, ვიზრუნებთ ამ მიმართულებით. იმედი, საკრებულო მხარს დაგვიჭირებს. მთავარია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტს პირდაპირ სკოლებზე თანხის დახარჯვა არა-მიზნობრიობაში არ ჩავეთვალოს.“ - დასძინა გამგებელმა სკოლების დირექტორებთან შეხვედრაზე.

ყვიდი ორთხიანი ბინას ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. #56 (ა) კორპუსში მესამე სართულზე.
დაინტერესებული პირები დამიკავშირდით ტელეფონით შემდეგ ნომერზე: 599 77 65 95.

მადლობა სიკეთისთვის

დღეა ჩემი, მათიკო მანჯავიძე, ამ რამდენიმე წლის წინ ცუდად გავიხიდა. მალე დონის პროფესიონალი ექიმისა და შესანიშნავი პიროვნების, ბატონ ალექსანდრე ბარბაქაძის წყალობით დღეს დღეა ჩემი ცოცხალია. მინდა ბატონ ალექსანდრეს მადლობა ვუთხრა სიკეთისთვის. უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს მის ოჯახს.

მარინა მანჯავიძე

მადლობა თანადგომისთვის

დიდ მადლობას ვუხდით ყველა ორგანიზაციას, ოჯახს და ცალკეულ პიროვნებებს, რომლებმაც ჩვენი ოჯახის დიდი ტრაგედია გაიზიარეს და თანაგრძნობა გამოხატეს. ღვთის წყალობა და მფარველობა გქონოდათ ყველას.

იზოლდა ოკრობლიაშვილი



ალექო ტარასოვი

ერთი წელი გავიდა, ერთი გრძელი და მწუხარებით სავსე წელი, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, ჩვენი თბილი ბიძია, ალექსანდრე მანჯავიძე, მტკივნეული და ტრაგიკული იყო შენი გარდაცვალება. ნახვედი ჩვენგან კარგი ადამიანი, ყველას ჭირისა და ღვთის განთავსებული, კარგი შვილი, კარგი ძმა და კარგი მეზობელი. ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული, ჩემო ბიძია ალექო.

მინანდა ტარასოვა


პარსენია ნოზაძის ხსოვნას

სულ ახლახან ჩვენი საყვარელი სიძე, შენი მეუღლე მოვაბარეთ მინას. ძნელი იყო ყველაფერის მისი ამქვეყნიდან წასვლა. შენ კი მუხდაცემული ვით იყავი და მხოლოდ ცხრა დღეს გაუძელი სამხედრო ტკივილს. მერე კი იმედით ველოდი შენს გამოჯანმრთელებას, მაგრამ ამაოდ. ვერ გიმეფლეს შენმა საყვარელმა ონისემ და ინგამ, სულ თავს რომ დაგტრიალებდნენ. მეუღლის ორმოცამდე მიიტანე სული და მერე შენც მარადისობაში გადასახლდი. ჩვენი დიკო, ძალიან მოგვენატრება შენი თბილი საუბარი და ტკბილი ხმა. მოგვიწოდებდი შვილებისა და შვილიშვილებისთვის მუდამ მოამავე, მოთუხეუსე დედა და ბებია. ყველაფერი ხომ ღვთის ნებით ხდება. ამიტომაც ვერ შევძელით შეგვეცვალა შენი ბედისწერა. შენ ხომ არამარტო ჩვენი ოჯახის, არამედ ყველა ახლობლის დიდი იმედი იყავი. გინდოდა ყველაფერი კარგად და ლამაზად ყოფილიყო შენს გარშემო. შენი გული ბევრ ტკივილსაც იტანდა, რადგან ჩვენს საახლობლოში ბევრი ახალგაზრდა თუ ასაკოვანი დაკარგეთ. ბოლოს კი შენი საყვარელი ქეთინოს მეუღლის დაკარგვამ ლამის

გავანადგურა. მწარედ განიცდიდი და გეცოლოდებოდა მისი ობლად დარჩენილი საბა და მარია. სწორედ პატარა მარიაზე გავიგო შენი ცუდად გახდომა პირველმა, რადგან მას ტკბილად უყვებოდი ზღაპარს. გაიგო და მამინვე მშველელს უხმო. ბევრი ცრემლიც დაღვარა შენს გამო და თავის პანანინა თითებით სანთელიც ავინთო. ჩვენი საყვარელი დიკო, დღემდე შეიდი დედამამიველი ვიყავით და ასე გავგრძელებდა ანიც. შენ ყოველთვის ჩვენთან იყავი და ტკბილი მოგონებებით გავისვენებ, სანამ ვიცოცხლებთ. ცხოვრება გრძელდება და გვჭერა, რომ არასოდეს ჩაქრება შენი კერია. ხშირად ვილოცებ შენი სულისთვის, უდიდესი ტკივილითა და სიყვარულით გეფერებით. ვერაფერია დრო ვერ ვანკურნავს შენს მონატრებას. ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული. ჩვენს მიერ დანთებული სანთლებმა გავინათოს მარადიული სასუფეველი.

შენი საყვარელი დედამამიველები: მეველი, ვენერა, ზუზა, ნამიკო, გულო, მაინა, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით

ბრიგოლ სხილაძე



ბრიგოლ ერმალოს ძე სხილაძე დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ მაჭათუბანში 1927 წელს. ბოროთი დაამთავრა არასრული საშუალო სკოლის შვიდი კლასი. 16 წლის ასაკში, 1943 წელს, გაიწვიეს ომის ხაზით ჭიათურის მალაროში, სადაც მუშაობდა ელემენტარულ ქვანახშირის გამოხდევამდე. მძიმე და აუტანელი შრომის გამო დაავადდა. გამოჯანმრთელების შემდეგ დაუახლოდა მაჭათუბანს დაბრუნდა. 1954 წელს საცხოვრებლად გადავიდა ბოროთში. აირჩიეს მშენებლობის ბრიგადის ბრიგადირად. დიდი შრომა ჩადო ხარაგაულის რაიონისა და ბოროთის კოლმეურნობის საკოლმეურნეო მშენებლობებში.

მეუღლესთან და შვილებთან ერთად ჩაბმული იყო ბოროთის საკოლმეურნეო შრომაში. ყოველწლიურად სახელმწიფოს ოთხ ტონა ყურძენს აბარებდა. ამის გამო ოჯახს მიღებული აქვს მრავალი მედალი და შრომის წითელი დროშის ორდენი. ბრიგოლ სხილაძემ შვიდი შვილი აღზარდა.

1967 წელს თბილისში გააგრძელა ცხოვრება და საქმიანობა. მუშაობდა აგრორეზინის უნივერსიტეტის მშენებლობაზე. მაშინდელმა რექტორატმა იგი იქვე დატოვა სამუშაოდ, სადაც ბრიგოლ სხილაძემ 45 წელი იმუშავა. დაუღალავი და კეთილსინდისიერი შრომისთვის მიღებული აქვს უამრავი სიგელი და მედალი, პრემიების და მადლობა. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აგრორეზინის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებში. სამსახურიდან თავისუფალ დროს

2005 წელს დაავადდა და თანდათან მხედველობა დაკარგა. ეს მისთვის დიდი ტრაგედია იყო. სოფელში დაბრუნებულს ბევრი გვემა ჰქონდა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ის სამუდამოდ დაემშვიდობა თავის სახლ-კარს, ცოლ-შვილს და მშობლიური ბოროთის მოსახლეობას.

ოჯახი

შურა ტაბატაძის ბახსენება



ორმოცი დღე გავიდა, რაც დავტოვე და მარადიულ სასუფეველში გადასახლდი. დავკვიტე დიდი ტკივილი, სევდა და მონატრება. ორი წელი გაუსაძლისი ტკივილებით გავვლე,

მაგრამ ვაი რომ, ვერ გაუმკლავდი და დამარცხდი სიკვდილთან. ჩვენი საყვარელი დაო და მამიდა. ერთი წუთითაც არ შევიხიბა წარბი, რაღაცას გვარეგებდი, გვასწავლიდი, გვიბარებდი. ყოველთვის ვიყავრდა ჩვენი მოსულა და ამყობდი. ახლაც მოვალთ, მამიდა, მაგრამ... წმინდა სანთლებით და ყვავილებით შევიძვობთ საფლავს. ყველას ომხიანი, თუმორით სავსე და მოთუხეუსე ახსოვხარ. გვიმძიმს უშენობა. შენ კერძო ვაჟყავრად უძლებდა შენი ერთადერთი ქალიშვილი ნინო. ის ყოველთვის გაავრძელებს იმ ოჯახურ ტრადიციებს, რაც შენ გაგაჩნდა.


ღმერთმა ნათელში გამყოფოს, მამიდა. მსუბუქად დაგვეფაროს ტანჯულ გულზე დაყრილი სხლითის მინა. ამინ! **ძმა ავთანდილ ტაბატაძე, წმინდა მერი ქავთარია, ძმისშვილები: მარინა, ირინა, რაინდი ტაბატაძეები**

პარსენია ნოზაძის ბახსენება

მოულოდნელი იყო თქვენნი გარდაცვალება ხვეის საჯარო სკოლის ყველა თანამშრომლისთვის, იმ სკოლისთვის, რომლის სამსახურშიც წლების მანძილზე იდებოდით. მუდამ საქმიანი, პასუხისმგებელიანი, ყველას მიმართ თბილი, კეთილი, სათნო, გვერდში მდგომი და კარგი მეგობარი - ასეთი დაგვამახსოვრდებით ყველას. თქვენთვის ხომ დიდი და პატარა საქმე არ არსებობდა. ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ვიყვარდათ თქვენი საქმე და მუდამ მოწინააღმდეგეული გქონდათ ყოველგვარი დოკუმენტაცია. სკოლა განსაკუთრებულად ვიყვარდათ და დიდ შრომას ეწეოდით მისი სახელისთვის. ვიყვარდათ თქვენი კოლექტივი, მეგობრები, მონაფეხები. იყავით სტუმართმოყვარე, პრინციპული,

მორიდებული და თავმდაბალი. ამქვეყნად ისე იცხოვრეთ, რომ ყველას მოფერებოდათ და გვერდში დგომას ახერხებდით. დღეს კი მთელი სოფელი დაგტრიალდა, როგორც კარგ მეზობელს, დედას, ბებიას და კარგ დიასახლისს. რამდენიმე წლის წინ დატოვეთ სკოლის კედლები, თუმცა სულ გაინტერესებდათ, როგორ გრძელდებოდა სკოლის ცხოვრება. გახარებდათ წარმატებები და გული გტკიოდათ ამქვეყნიდან ნაადრევად წასულ სკოლის ყოველ თანამშრომელზე. ახლა კი თქვენც მათ რიგებს შეუერთდით. გულწრფელი გემოლით დაგტრიალდა ყველამ. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის საფლავის მინა. უფალმა დაგიძვიდროთ სულის სიმშვიდე.

ხვეის საჯარო სკოლა



მეუღლე თამარიკო ვაბუნიანი, შვილები: მამუკა, მადონა გიორგიძეები, დედამამიშვილები: ელზა, ელვარდი, მერაბი, რძალი შორენა კაციაძე, სიძე გიორგი ტაბატაძე, შვილიშვილები: თამუნა, ბარბარე, გიორგი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ყველა საახლობლო ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა **ელგუჯა (კოტიკო) მაჭუას ძე გიორგიძე**, დაიკარგა 11 ივლისს პატარა ხარაგაულში.

მეუღლე პაპა დუბროვა, შვილები: ნინო, გურამი, ზურაბი, ნათელა, ამირანი, ნაზი, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა **ბრიგოლ ერმალოს ძე სხილაძე**.

ხარაგაულის #2 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობენ გონიერი გიორგიძის და თამარ სულიაურს დედისა და დედამთილის **ნინო ხიჯაკაძე-გიორგიძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: გონიერი, თემური, ნამიკო, მანანა, რძლები: ნათელა ვუმბერიძე, ზინა მასიურაძე, დარეჯან თხელიძე, თამარ სულიაური, ანა ასანიძე, სიძეები: გივი ბარბაქაძე, ნუგზარ მახარაძე, მიმიკო ასლამაზაშვილი, თემურ თურქაძე, ლაშა დუნდუა, შვილიშვილები: ქეთევან, ვოჩა, შორენა, ფატი, გიორგი გიორგიძეები, ნატო, გიორგი ბარბაქაძეები, ძმისშვილები, მულისშვილები, მამლისშვილები, შვილთაშვილები ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა **ნინო (ლუზა) ხიჯაკაძე-გიორგიძის** დაკრძალვა სოფელ თეთრანყაროში 13 ივლისს.

ვაგელი მურადოვი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობს მარინა, ვახტანგ ლავაბიძეებს და ნათია ველაშვილს საყვარელი შვილისა და მეუღლის **ვანო ლავაბიძის** გარდაცვალების გამო.

ედელა სხილაძე, იამზე კიკნაძე, მადონა ბარბაქაძე, ქეთინო, მაგდა თავზარაშვილები, მაია ლურსმანაშვილი თანაუგრძნობენ ნანი არევაძეს დედის **ნანი არევაძის** გარდაცვალების გამო.

ქეთინო აბრამიშვილი, აზა ფურცელაძე, ეკა ლურსმანაშვილი, ირინა ბიბიჩაძე, ზაური ჭუმბურიძე, ვალდა არევაძე თანაუგრძნობენ ნანი არევაძეს დედის **ნანი არევაძის** გარდაცვალების გამო.

ინგა კვიციანიკაძე ოჯახით თანაგრძნობს ნათელას ნანი გიორგიძეს დედის **ნინო ხიჯაკაძე-გიორგიძის** გარდაცვალების გამო.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის რაიონული ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს ოლეგი ნიჭიანიშვილის ძმის **ნინო ნიჭიანიშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სოფელ დიდვაკეში მცხოვრები უახლოესი მეზობლები: ნათელა ვეფხვაძე, იზო ვეფხვაძე, ნუნუ ტყემელაშვილი, ნანული კალანდაძე, მედიკო სამხარაძე, ნორა მალარაძე ოჯახებით თანაგრძნობს გამოხატავენ პაატა, ნანი, ნატო არევაძეების დედის **ნანი არევაძე-ტაბატაძის** გარდაცვალების გამო.

სოლომონ მეფის ქ. #56 (ბ) კორპუსის პირველი სადარბაზოს უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ნანი გიორგიძეს დედის **ნინო ხიჯაკაძე-გიორგიძის** გარდაცვალების გამო.

სალანძლოს ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციის, ამბულატორიის და ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანი არევაძეს დედის **ნანი არევაძე-ტაბატაძის** გარდაცვალების გამო.

იამზე მალარაძე ოჯახით იუნწყება, რომ გარდაიცვალა **თინათინ მალარაძე** და სამძიმარს უცხადებს ბალიკოს დედის, მზიას დედამთილის, ვიოსა და თინათინ ბების გარდაცვალების გამო.

სოფელ ვარძიაში მცხოვრები ზურ ჩიჩილიძე ოჯახით მწუხარებით იუნწყება საყვარელი ძმისშვილის **ვინო ნინოს ძე ჩიჩილიძის** გარდაცვალებას.

კარპეზი, თინა და რუსუდან სარალაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საყვარელი სიძის **გია ნოდარის ძე ჩიჩილიძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უუუუუუ ნანიტაშვილი, მურთაზ, ნუნუკა და ლელა ხიჯაკაძეები ოჯახებით მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა **გია ნოდარის ძე ჩიჩილიძე** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები: ვალიდა არევაძე, ქეთევან ვაბუნიანი, ნინო ტაბატაძე, მაკა შავიძე, ქეთევან გიორგიძე, დარეჯან მალარაძე თანაუგრძნობენ ექიმ ნანი არევაძეს დედის **ნანი ტაბატაძე-არევაძის** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ამირან, დემურ და ზურაბ ლევიძეები, გია ხიჯაკაძე დიდი მწუხარებით იუნწყებიან საყვარელი პიროვნების **გია ნოდარის ძე ჩიჩილიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რ. დევანოსისძის ქ. #3-ში მცხოვრები მეზობლები თანაგრძნობს უცხადებენ იზო დონდაძეს შვილის **მალხაზ ამირანის ძე დონდაძის** გარდაცვალების გამო.

თემურ გამყემლიძე ოჯახით მწუხარებით იუნწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა **ნინო ნიჭიანიშვილი** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

უახლოესი მეზობლები: ნოდარ მუხრანაძე, ნოდარ ჭანკოტაძე, დათო ვაჩეჩილაძე, უჩა შავიძე, ზურაბ აბაშიძე, ომარი ტაბატაძე, ვახტანგ თხელიძე, ნემო მალარაძე, ცოური კიკნაძე, სამა შარიტაძე, ომარი ბურჯანაძე თანაუგრძნობენ ნანი არევაძეს და გია ბერაძეს დედისა და სიდედლის **ნანი ტაბატაძე-არევაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ახლობლებს.

„გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ხარაგაულის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ექიმ ნანი არევაძეს დედის **ნანი ტაბატაძე-არევაძის** გარდაცვალების გამო.

ახლო მეზობლები: ნაზი, დემური არევაძეები, ნინელი ვორპუკი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანი, ნატო და პაატა არევაძეებს დედის **ნანი ტაბატაძე-არევაძის** გარდაცვალების გამო.

თინა მჭედლიძე, მაია ქსრავილი, ლუიზა ბერაძე, იზო მალარაძეები, ნორა ბერაძე, მაია სვანიძე, ლეილა მალარაძე თანაუგრძნობენ ნანი არევაძეს დედის **ნანი ტაბატაძე-არევაძის** გარდაცვალების გამო.

ხარაგაულის #2 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობენ ელვარდი გიორგიძის ძმის **ელგუჯა გიორგიძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შთაბარი რედაქტორი **ლაურა გოგოლაძე** 593 900 501

რედაქტორის მოადგილე **ნინო კაპანაძე** 593 35 65 80

თამთა გოგოლაძე 555 57 45 78

ლიზაინერი **შოთა ლომიძე** 557 10 20 47 shotiko@lomidze.info

რედაქციის მენეჯერი: სოფო ფურაძე, ანი ჭიკაშვილი, სალომე ბუხნიკაშვილი, გიორგი ლომიძე, ნინო ბლაძიკა, ნინო მჭედლიძე, მარამ მაქაძე, ანა გოგოლაძე, ნინო ქველიაშვილი, გვანცა ლომიძე, თიკო ლურსმანაშვილი, ზვიანა ჭყვიანი

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №17 **ტელ:** 0 433 22 16 27 593 90 05 01 **gogoladze.laura@gmail.com** **გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-2**

დაბეჭდა შპს „მედიკალიზაცია“ ქ ქუთაისი ა.კ. წერეთლის ქ. №86 **ტელ:** 599 95 96 86 0 431 23 45 54